

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა. ამ ცვლილების თანახმად, უქმდება ერთწლიანი შეზღუდვა ვიზის გაცემაზე მათთვის, ვინც გადაიხდის ჯარიმას საქართველოში სამ თვეზე მეტი ხნით უკანონო დარჩენისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია “საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის” და “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უქმდება ერთწლიანი შეზღუდვა ვიზის გაცემასა და საქართველოში შემოსვლაზე იმ პირებისათვის, ვინც, თუმცა დაარღვიეს საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადები, მაგრამ გადაიხადეს “საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით” გათვალისწინებული ჯარიმა. ამდენად, კანონპროექტი ითვალისწინებს “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 191-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის ამოღებას, რომლის მიხედვით დამრღვევ პირზე დაუშვებელია საქართველოს ვიზის ან საქართველოში შემოსვლის ნებართვის გაცემა ჯარიმის დაკისრებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო; კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებლებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საერთოველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორებია საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორებია საქართველოს პარლამენტის წევრები კონსტანტინე გაბაშვილი და ლევან ბეჟაშვილი.